ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 296

30 ივნისი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.14.11.029.055) 19 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის" (საიდენტიფიკაციო № 404552587) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა N28-66-ის მიმდებარედ, 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.055) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის" (ს/ნ: 404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის №23.917.1036 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა, №28-66-ის მიმდებარედ 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.029.055) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის" (ს/ნ. 404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 560 (ოთხას ათას ხუთას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე